



მწერალს გულთბილი შეხვედრა მოუწევს განათლების ფაკულტეტის სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა. მისი შემოქმედება და საზოგადოებრივი საქმიანობა სტუდენტებს გააცნო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა პროფ. როზეტა გუჯეჯიანმა. ფარნა ჩილოღლუმ გულთბილი და გულახდილი დიალოგი გამართა სტუდენტებთან, რომლებმაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს მწერლის ბიოგრაფიის, შემოქმედების, თურქეთში მყოფი ქართველებისა და საქართველო-თურქეთის მეგობრულ ურთიერთობებისადმი.

მწერალმა ისაუბრა ჟურნალ "ფიროსმანზე", მის როლსა და მნიშვნელობაზე ქართულ-თურქულ კულტურულ ურთიერთობებში. მწერალს მიესალმნენ და უნივერსიტეტში სტუმრობისათვის მადლობა გადაუხადეს სოხუმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრებმა: პროფესორებმა: ოთარ ვახანიამ და ბეჟან ხორავამ; განათლების ფაკულტეტის დეკანმა ლია ახალაძემ, პროფესორებმა: რუსუდან ფიფიამ, ბროლისა წულაიამ თამარ შინჯიაშვილმა.